სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

17 ივლისი 2024

N 368/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მესტიის მუნიციპალიტეტში, ხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულის ტერიტორიაზე, 61 970 m^2 ფართობზე 619 700 m^3 ტუფობრექჩიების, პორფირიტების და დიაბაზების ღია კარიერული წესით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია მესტიის მუნიციპალიტეტში, ხაიშის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, 61 970 m^2 ფართობზე 619 700 m^3 ტუფობრექჩიების, პორფირიტების და დიაბაზების ღია კარიერული წესით მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს მესტიის მუნიციპალიტეტში, ხაიშის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, 61 970 m^2 ფართობის მქონე ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 800-900 მეტრ სიმაღლეზე და წარმოდგენილია ერთ უბნად. საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-256926.762, Y-4746600.395; X-257341, Y-4746825; X-257411, Y-4746942; X-257648, Y-4746854; X-257377, Y-4746742; X-256963, Y-4746565. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ წიაღითსარგებლობის ობიექტიდან დაახლოებით 130 მეტრში მდებარეობს საავტომობილო გზა, დაახლოებით 300 მეტრში – კვების ობიექტი, ხოლო დაახლოებით 400 მეტრში – შპს „ენგურჰესის“ ენგურის წყალსაცავი. ამასთან, საპროექტო ტერიტორია ხვდება სახელმწიფო ტყეში და ნაწილობრივ ემთხვევა ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ საიტს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ლიცენზიის გაცემის ვადად განსაზღვრულია 15 წელი. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, სალიცენზიო ობიექტიდან გათვალისწინებულია ჯამურად 619 700 m^3 სასარგებლო წიაღისეულის (ტუფობრექჩიები, პორფირიტები და დიაბაზები) ღია კარიერული წესით მოპოვება, რაც წელიწადში, საშუალოდ, შეადგენს 41 313 m^3-ს, თუმცა, ლიცენზიანტს უფლება აქვს მოიპოვოს წლიურ მოპოვებაზე მეტი რესურსი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, მორფოლოგიური თვალსაზრისით, წიაღითსარგებლობის ობიექტი მდებარეობს სამეგრელო-ზემო სვანეთის საშუალომთიან ზონაში, რომელიც მოიცავს მდ. ენგურის მარცხენა სამხრეთ-დასავლური ექსპოზიციის მქონე ფერდობის შუა ნაწილს. აღნიშნულ ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ მორფოდინამიკური პროცესებიდან წამყვანი როლი, ეროზიულ-დენუდაციურ პროცესებს უკავია, რომელიც რელიეფში ასახულია კლდოვან-ქარაფოვანი ფორმებით, ხევ-ხრამებითა და ღარტაფებით. სალიცენზიო ობიექტის ფარგლებში და მის მიმდებარედ ფერდობის დახრილობა არათანაბარია და საშუალოდ $45\text{-}60^0$ ინტერვალში მერყეობს, რომლის ზედაპირიც ნაწილობრივ დაღარულია პერიოდულად დენადი წყლის ნაკადის მიერ წარმოქმნილი ეროზირებული ხევ-ხრამებით. საპროექტო ტერიტორია დაფარულია მცენარეული საფარით (შერეული ტყე). ტექტონიკური დარაიონების თვალსაზრისით, სალიცენზიო ობიექტი განეკუთვნება კავკასიონის ნაოჭა სისტემის, გაგრა-ჯავის ზონის, პორფირიტული იურის ქვეზონას. გამოვლინების რაიონის გეოლოგიურ აგებულებაში, ძირითადად, მონაწილეობს პალეოზოური (კრისტალური ქანების ძველი სუბსტრატი) და

მეზოზოური (ტრიასული და იურული) ნალექები, მეოთხეული ალუვიური და ფლუვიოგლაციური წარმონაქმნები. წიაღითსარგებლობის ობიექტი და მისი მიმდებარე ტერიტორია აგებულია შუა იურული ასაკის კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი ქანებით – ავგიტ-ლაბრადორიანი ტუფობრექჩიებით, პორფირიტებითა და დიაბაზებით, რომლებიც ზემოდან გადაფარულია დელუვიური ნალექებითა და ნიადაგის ფენით. პროდუქტიული წყების გავრცელება ლიმიტირებულია სალიცენზიო ობიექტის პარამეტრებით. მადნიანი სხეულის საშუალო სიმძლავრე 10 მ-ს შეადგენს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სალიცენზიო ობიექტზე სასარგებლო წიაღისეულის დასინჯვა და საძიებო სამუშაოები არ ჩატარებულა, ასევე, არ განხორციელებულა ჰიგიენურ-რადიაციული და ლაბორატორიულ-ტექნოლოგიური კვლევები. წიაღისეულის საბადოს მარაგები გამოთვლილია საშუალო არითმეტიკული მეთოდით. მარაგებისა და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით ($A+B+C_1+C_2$ და P), სალიცენზიო ობიექტზე პროგნოზული (P კატეგორიის) მარაგები შეადგენს 619 700 $მ^3$-ს. წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავება განხორციელდება ღია კარიერული წესით და მოპოვებული რესურსი გამოყენებული იქნება სამშენებლო საქმიანობაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სალიცენზიო ობიექტის დამუშავების ჰიდროგეოლოგიური და სამთო ტექნიკური პირობები დამაკმაყოფილებელია. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო) სირთულის კატეგორიას. წიაღითსარგებლობის ობიექტის ფარგლებში საშიში გეოლოგიური პროცესები არ ფიქსირდება და ექსპლუატაციის პროცესში გეოდინამიკური გართულებები მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადებაში არ არის განხილული დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლები, კერძოდ, ნარჩენების წარმოქმნა, გარემოს დაბინძურება და ხმაური, ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება, ასევე, არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება. აღსანიშნავია, რომ სააგენტოს მიერ, 2024 წლის 28 მაისს, საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ, 64 550 $მ^2$ ფართობის მქონე ტერიტორიაზე, 645 500 $მ^3$ ტუფობრექჩიების, პორფირიტების და დიაბაზების ღია კარიერული წესით მოპოვებაზე გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №271/ს), რომლის საფუძველზე დაგეგმილი საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ამასთან, სალიცენზიო ობიექტის მიმდებარედ, 65 700 $მ^2$ ფართობის მქონე ტერიტორიაზე, 657 000 $მ^3$ ტუფობრექჩიების, პორფირიტების და დიაბაზების ღია კარიერული წესით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით სააგენტოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიებზე სასარგებლო წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება საჭიროებს სათანადო შესწავლას და შეფასებას.

წარმოდგენილ დოკუმენტში მითითებულია, რომ სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია დაფარულია მცენარეული საფარით (შერეული ტყე), თუმცა, არ არის აღწერილი საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული ბიომრავალფეროვნება და არ არის იდენტიფიცირებული სასარგებლო წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვების შედეგად არსებულ სახეობებსა თუ ჰაბიტატებზე მოსალოდნელი ზემოქმედება, კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით და სათანადო პრევენციული ღონისძიებების აღწერით. ამასთან, ვინაიდან, სალიცენზიო ტერიტორია ნაწილობრივ (50 526 $მ^2$) ემთხვევა „ევროპის ველური ბუნების და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ“ (ბერნის) კონვენციის შესაბამისად შექმნილ ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ საიტს (სამეგრელო – GE0000021), საჭიროა, ჩატარდეს ზურმუხტის ტერიტორიაზე ზეგავლენის შეფასება (ზზშ), სადაც მონიტორინგის გეგმასა და სხვა საკითხებთან ერთად, მოცემული იქნება ინფორმაცია იმ სახეობებსა და ჰაბიტატებზე შესაძლო ზემოქმედების და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების ქმედებების შესახებ, რომელთა დასაცავადაც შეიქმნა მითითებული ზურმუხტის ტერიტორია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სკრინინგის განცხადებაში არ არის აღწერილი სასარგებლო წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვების პროცესი და მოპოვების მეთოდი, არ არის მოცემული საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზების შესახებ ინფორმაცია, ასევე, არ არის შეფასებული მიმდებარედ არსებული საავტომობილო გზის, კვების ობიექტისა და ენგურის წყალსაცავის სტაბილურობასა და უსაფრთხო ფუნქციონირებაზე საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედება, რაც

საჭიროებს დეტალურ შესწავლას. ამასთანავე, დოკუმენტში არ არის მოცემული სალიცენზიო ობიექტის ღია კარიერული წესით დამუშავების პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების დროებითი დასაწყობების და შემდგომი მართვის, ასევე, საპროექტო ტერიტორიის რეკულტივაციასთან დაკავშირებული საკითხები. სკრინინგის განცხადებაში განხილული არ არის დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გარემოზე შესაძლო ზემოქმედების ხარისხი და კომპლექსურობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული საკითხები, ასევე საჭიროებს სათანადო შეფასებას. ამასთან, ვინაიდან, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება გათვალისწინებულია ღია კარიერული წესით, საქმიანობა დაკავშირებული იქნება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, რასაც ადგილი ექნება როგორც მოპოვებითი სამუშაოების წარმოების პროცესში, ისე ნედლეულის ტრანსპორტირებისას. შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება საჭიროებს სათანადო შესწავლას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული ტერიტორიების სიახლოვეს, თუმცა, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია სრულად ხვდება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ხაიშის სატყეო უბნის ხუბერის სატყეოში (კვარტალი №121, ლიტერი №5; 8). დოკუმენტში არ არის მითითებული ინფორმაცია ტყის სტატუსის შეწყვეტის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის შესახებ. ამასთან, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით (თავი XIV) განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება საქმიანობის ადგილმდებარეობის, სპეციფიკის, მახასიათებლების, მოპოვების მეთოდისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, დაკავშირებული იქნება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, რაც საჭიროებს სათანადო შესწავლას, შეფასებას და შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში, ხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულის ტერიტორიაზე, 61 970 $მ^2$ ფართობზე 619 700 $მ^3$ ტუფობრექჩიების, პორფირიტების და დიაბაზების ღია კარიერული წესით მოპოვება **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/368-21-4-202407171755